საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-851

10/06/2021

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა), მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის N 2-333 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა), მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის N 2-333 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №29 (28.02.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, შპს „ახალი თბილისის“ 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ავშნიანი 1-2”-ის (№27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანა), მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 აპრილის N 2-333 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ახალ თბილისს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ახალი თბილისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი